ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5952426

ნომერი: AR1898828

თარიღი : 17.05.2022

გაცემის თარიღი : 24.05.2022

გაცნობის თარიღი : 24.05.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ზემო ვეძისი , N 81 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზემო ვეძისი , N 81-ის მიმდ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მიქავა პ/ნ 01007014642
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 111 ბ. 24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 17 მაისს №AR1898828 განცხადებით მომართა დავით მიქავამ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048

ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპების მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741699 ბრძანებით №01.10.12.003.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 11 მაისიდან 2024 წლის 11 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებაში დაფიქსირებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში მშენებლობის ეტაპები და ვალდებულება მშენებლობის ეტაპების ჩაბარების შესახებ არ უნდა იყოს მითითებული და შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741699 ბრძანებით შეთანხმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე. "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებულ წესში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის №573 და 2021 წლის 30 დეკემბრის №631 დადგენილებებით შეტანილი ცვლილებების შედეგად, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევაში მშენებლობის ორგანიზების პროექტი მშენებლობის რიგითობას და ეტაპებს არ მოიცავს, ამასთან, მშენებლობის ნებართვაში არ შედის ინფორმაცია მშენებლობის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპების შესახებ. რაც შეეხება, მშენებლობის დასრულების შესახებ ოქმს, იგი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევაში არ დგება. შესაბამისად, სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი (მშენებლობის ეტაპები) ამოღებულ უნდა იქნას ბრძანებიდან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებიდან ამოღებულ იქნას მე-4 პუნქტი სრულად.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის №5934048 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.